# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 22 თებერვალი 2008 №039 (3263) ფასი 50 თეთრი


## დღეს ტყუპების დღეობაა



## 35

## წლეულს ასეა: არჩილი შოთაზე ოთხი საათით ადრე დაიბადა

## 35

# ხვალინდელი საქართველო

გუშინ საქართველოს ნაკრებმა ბოლოსწინა ვარჯიში გამართა ხვალინდელი საერთათასო მატჩის წინ.

ჩვენების შემადგენლობა მთავარმა მწვრთნელმა ტიმ ლეინმა საამმატჩოდ ასე დანომრა:

შერჩინება:

15------------------ ოთარ ბარკალაია
14------------------გიორგი შკინინი
13------------------ დავით კაჭარავა
12------------------რევაზ გიგაური
11 ------------------ირაკლი ჩხიკვაძე
10------------------ლაშა მალაღურაძე
9---------- ირაკლი აბუსერიძე (კაპ)
8------------------გიორგი ჩხაიძე
7------------------ რატი ურუშაძე
6------------------დიმიტრი ბასილაია
5------------- ლევან დათუნაშვილი
4------------------ კახა უჩავა
3-------------დავით ქუბრიაშვილი
2------------ ირაკლი ნატრიაშვილი
1 ----------------გოდერძი შველიძე

სათადარიგონი:

16------------- ანტონ ფეიქრიშვილი
17-------------დავით დადუნაშვილი
18------------------ გიორგი ნემსაძე
19------------------ სიმონ მაისურაძე
20------------------ ბიძინა სამხარაძე
21 ------------------სანდრო თოდუა
22------------- ირაკლი ყიასაშვილი



...დღეს მათ 35 წელი შეუსრულდათ: სკოლის ასაკს ოდნავ იყვნენ გადაცილებულნი, თბილისის „დინამოსა“ და ქართული ფეხბურთის მომავალ სახეებად რომ ითვლებოდნენ; თავიდანვე მაგრად აიწყვეს კარიერა, 20 წლის ასაკში მთელი თურქეთი გადარიეს, თუმც მანამდე „დინამოშიც“ მოასწრეს სახელის დაგდება. ერთს გაცილებით შთამბეჭდავი კარიერა გამოუვიდა, მეორე კი ტრავმებმა დატანჯა და რაც შეეძლო, იმის ნახევარიც ვერ ითამაშა — მიხვდებოდით, განუყრელ წყვილზე, ტყუპ შოთა და არჩილ არველაძეებზეა ლაპარაკი. შოთა-აჩის კარიერაში წყენაც ბევრი უნახავთ, მაგრამ სიხარული უფრო ბევრი ჰქონიათ.

დღეს ერთი ბრწყინვალე კარიერის დაისზეა, ესპანეთშია და „ლევანტეს“ მუხლმტკივანობის გამო ვერ ეხმარება, მეორემ კი ექვსი წლის წინ დაასრულა კარიერა და 35-ე საფეხბურთო სკოლის დირექტორია...

# შოთა: შვილებზე დიდი საჩუქარი რა უნდა იყოს?!

## აჩის ორიგინალური დაბადების დღე: 35 წლის იუბილე 35-ე სკოლაში

### შოთა

*— ერთად ვერ ვხვდებით დაბადების დღეს — შოთამაც და აჩიმაც ეს გვითხრეს.*

**— „სარბიელი“ გილოცავთ დაბადების დღეს! როგორ აღნიშნავთ ამ თარიღს?**

— დიდი მადლობა! მამაჩემია ჩამოსული. მთელი ოჯახური წრე კი, სამწუხაროდ, ვერ მოგროვდა. დედაჩემი და აჩი ვერ ჩამოვლენ. ისე, აჩი ორიგინალურად აღნიშნავს — 35 წლისა ხდება და 35-ე საფეხბურთო სკოლაშია...

**— ერთი-ორი ჭიქა გეპატიება იუბილარს. დალევ სასმელს?**

— ერთ ჭიქა წითელ ღვინოს დავლევ. ტრაბახი არ მიყვარს და დიდი მსმელი არ ვარ.

**— და ყველაზე დასამახსოვრებელი რომელი დაბადების დღე იყო?**

— ყველა დასამახსოვრებელია, მაგრამ... ისე, სხვების დაბადების დღეებზე უფრო ვერთობი.

**— რატომ?**

— არ ვიცი, ასეა და... ალბათ, ასაკის ბრალია... კარგია დაბადების დღე, მაგრამ როცა იცი, რომ ერთი წლით დაბერდი...

**— ყველაზე ორიგინალური საჩუქარი, რომელიც იუბილეზე მიგიღია...**

— ორი შვილი მყავს, ამაზე დიდი საჩუქარი რა უნდა იყოს. ორიგინალური კი იმდენად არ მახსენდება. ჩემგან უფრო უყვართ საჩუქრის მიღება... ბოლო წლებში კი ჩემი შვილები დამიხატავენ ხოლმე რაღაცას, ლამაზს.

**— ლევანტელ თანაგუნდელებს ხომ არ პატიჟებ? ან ქართველი ფეხბურთელები ხომ არ ჩამოგაკითხავენ?**

— არა მგონია, „ლევანტე“ ხვალ ბარსელონაში მიდის მატჩისთვის მოსამზადებლად. ქართველები კი... შორია და ძნელია აქ ჩამოსვლა, თორემ ბევრი ჩამოვიდოდა.

**— 22 თებერვალს ნათამაშები მატჩები გახსენდება?**

— შარშან სწორედ ჩემს დაბადების დღეს გავაგდეთ „ფენერბაჰჩე“ უეფას თასიდან. ადრეც რამდენჯერმე მითამაშია... მახსოვს, ერთხელ წავაგეთ კიდეც და ნერვებმოშლილი ვიყავი. ჰო, 25 წლის იუბილე მახსოვს, ჩემი და აჩის მეუღლეებმა გაგვიკეთეს სიურპრიზი ამსტერდამში — კარგი დაბადების დღე გადაგვიხადეს.

**— გეტყობა, ტყუპისცალის გარეშე მოწყენილი ხარ...**

— დაბადების დღეს ერთად რომ ვერ ვყოფილიყავით, ვერ წარმომედგინა. რაღაცნაირად უჩვეულოა, ცოტა ცუდ გუნებაზე მაყენებს. ბოლო წლებს თუ არ ავიღებთ, სულ ერთად აღვნიშნავდით ხოლმე მე და აჩი.

**— კეთილი. ჯანმრთელობაზე არაფერი გვიკითხავს: „ლევანტეში“ დატვირთვებს ვერ მოერიე?**

— ხან ვუმატებ, ხან ისევ ვჩერდები. ძალიან მინდა, მალე ვითამაშო, მაგრამ უახლოეს პერიოდში ეს გამორიცხულია.

**— „ლევანტემ“ „ოსასუნას“ მოუგო და რაღაც შანსი აქვს პრიმერაში დარჩენის...**

— არგავარდნის შანსი? ძალიან მეპარება ეჭვი...

**— პრიმერადივიზიონში საჩემპიონო ბრძოლა დაიძაბა — „ბარსელონა“ 5 ქულასღა აგებს „რეალთან“ და როგორ ფიქრობ, შეიძლება დაეწიოს?**

— რატომაც არა... „რეალი“ ვერ არის ისეთი მაგარი, როგორიც ერთი შეხედვით ჩანს. „რეალი“ კი არა, მთლიანად ესპანეთის ჩემპიონატი ცოტა მდარე შთაბეჭდილებას ტოვებს ჩემზე. ესპანეთში ადრე რომ ჩამოვსულიყავი, ნაღდად მაღალ დონეზე ვითამაშებდი, მაგრამ ახლა ვიღას დავუმტკიცებ ამას...

# არჩილი: ახლა შოთი ჩემზე ოთხი საათით უმცროსია

### არჩილი

**— „სარბიელი“ გილოცავთ დაბადების დღეს! როგორ აღნიშნავთ?**

— დიდი მადლობა! ისე ხმაურიანად ვერ აღვნიშნავ, როგორც მინდა და როგორც ადრე აღვნიშნავდი. აი, შოთისთან ერთად რომ ვიყო... 4-5 დაბადების დღე იყო სულ ჩვენს ცხოვრებაში, როცა ერთად არ ვყოფილვართ. როცა ერთად აღვნიშნავთ, მოლხენა არ გვაკლია — ოჯახის წევრები, მეგობრები...

**— შოთასთან ერთად აღნიშვნა ვერ მოახერხე...**

— ათი დღის წინ მესამე შვილი შემეძინა, გოგონა, ელისაბედი დავარქვით. პატარას როგორ მივატოვებ...

**— ღმერთმა გაგიზარდოთ! ყველაზე მეტად რომელი დაბადების დღე დაგამახსოვრდა?**

— როცა მე და შოთი ერთად ვიყავით ხოლმე, ყველა დაბადების დღე ერთმანეთს ჰგავდა. რეზის და ჩვენი მეგობრები მაგრად ვულხენდით. ერთხელ ჩემი და შოთის მეუღლეებმა ამსტერდამში სიურპრიზი მოგვიწყვეს, გემზე გადაგვიხადეს დაბადების დღე და ჰოლანდიაში მოთამაშე თითქმის ყველა ვარსკვლავი ფეხბურთელი დაპატიჟეს. დაუვიწყარი იყო.

**— თქვენი უფროსი ძმა, რეზო, ალბათ, განსაკუთრებით ილხენდა ხოლმე...**

— რეზის გარეშე არც ერთ სუფრას არ ჩაუვლია. მას ხომ ისედაც სასწაული ამაგი აქვს ჩვენზე და ასეთ მომენტებში მთლად რეზის მიჰყავს ხოლმე სალამო.

**— შოთა მოქმედი ფეხბურთელია და ბევრს ვერ დალევს. შენ როგორ იქნები სასმელთან?**

— მე ვერ ვსვამ. რა ვქნა, არ მიზიდავს სასმელი. თუ მოლხენაა, ისედაც მოვილხენ, ღვინო არ არის აუცილებელი...

**— რომელიმე დაბადების დღეს თამაში არ გქონია?**

— კი, თანაც რამდენჯერმე. ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ „ბრედაში“ ამ დღეს, მგონი, გოლიც გავიტანე.

**— შოთამ გვითხრა, აჩიმ 35 წლის იუბილე 35-ე საფეხბურთო სკოლაში უნდა აღნიშნოს, სიმბოლურადო...**

— დავუჯერებ... ახლა მალე დამირეკავს. მე საქართველოში ვარ, უფრო მალე ვხდები 35-ის და დამასწრებს მოლოცვას. ესპანეთში 4 საათით გვიან გახდება 12 საათი და მეც მივულოცავ.

**— ბოლოს საქმიან გეგმებზეც ვთქვათ: მწვრთნელობაზე არ გიფიქრია?**

— კი, მიფიქრია, მაგრამ... საქართველოში ძნელია. აქ ფული არ არის, პირობები ჭირს. თუ გამოკეთდება სიტუაცია, ვნახოთ...

**ილია ნანობაშვილი**



### შოთა

საქართველო ნაკრები, 1992-2007, 61 მატჩი 25 გოლი

| | | |
|---|---|---|
| **ტრაბზონსპორი** (თურქეთი) | | |
| 93-94 | 22 | 19 |
| 94-95 | 24 | 18 |
| 95-96 | 37 | 27 |
| 96-97 | 30 | 13 |
| **აიაქსი** (ჰოლანდია) | | |
| 97-98 | 39 | 32 |
| 98-99 | 23 | 7 |
| 99-00 | 20 | 7 |
| 00-01 | 30 | 19 |
| **რეინჯერსი** (შოტლანდია) | | |
| 01-02 | 30 | 17 |
| 02-03 | 40 | 16 |
| 03-04 | 29 | 15 |
| 05-05 | 33 | 9 |
| **ალკმაარი** (ჰოლანდია) | | |
| 05-06 | 39 | 25 |
| 06-07 | 46 | 23 |
| **ლევანტე** (ესპანეთი) | | |
| 07-08 | 0 | 0 |
| უცხოურ ჩემპიონატებში | 343 | 196 |
| ქვეყნის თასზე | 36 | 22 |
| ევროტურნირებზე | 52 | 23 |
| ლიგის თასზე | 8 | 4 |
| სუპერთასზე | 1 | 0 |
| პლეი ოფში | 6 | 2 |
| სულ | 446 | 247 |
| უმაღლეს ლიგაში | 426 | 263 |

### არჩილი

საქართველოს ნაკრები, 1992-2002, 32 მატჩი 6 გოლი

| | | |
|---|---|---|
| **ტრაბზონსპორი** (თურქეთი) | | |
| 93-94 | 19 | 11 |
| 94-95 | 11 | 3 |
| 95-96 | 18 | 6 |
| 96-97 | 10 | 4 |
| **ბრედა** (ჰოლანდია) | | |
| 97-98 | 28 | 11 |
| 98-99 | 30 | 10 |
| 99-00 | 31 | 21 |
| **კიოლნი** (გერმანია) | | |
| 00-01 | 26 | 7 |
| 01-02 | 3 | 0 |
| სულ | 176 | 70 |

## უეფას თასი 2007-2008

**1/16 ფინალი. საპასუხო მატჩები. წუხელ**

ვილიარეალი (ესპანეთი) 2:1 ზენიტი (რუსეთი) (0:1)
ლევერკუზენი (გერმანია) 5:1 გალათასარაი (თურქეთი) (0:0)
ხეტაფე (ესპანეთი) 3:0 აეკ (საბერძნეთი) (1:1)
ევერტონი (ინგლისი) 6:1 ბრანი (ნორვეგია) (2:0)
სპარტაკი (რუსეთი) 2:0 მარსელი (საფრანგეთი) (0:3)
ჰელსინგბორგი (შვედეთი) 1:2 პსვ (ჰოლანდია) (0:2)
ბორდო (საფრანგეთი) 1:1 ანდერლეხტი (ბელგია) (1:2)
პანათინაიკოსი (საბერძნეთი) 1:1 რეინჯერსი (შოტლანდია) (0:0)
ბაზელი (შვეიცარია) 0:3 სპორტინგი (პორტუგალია) (0:2)
ბაიერნი (გერმანია) 5:1 აბერდინი (შოტლანდია) (2:2)
ჰამბურგი (გერმანია) 0:0 ციურიხი (შვეიცარია) (3:1)
ფიორენტინა (იტალია) 2:1 რუსენბორგი (ნორვეგია) (1:0)
ტოტენჰემი (ინგლისი) 1:1 სლავია (ჩეხეთი) (2:1)
ატლეტიკო (ესპანეთი) 0:0 ბოლტონი (ინგლისი) (0:1)
ნიურნბერგი (გერმანია) 2:2 ბენფიკა (პორტუგალია) (0:1)
*ბრაგა (პორტუგალია) — ვერდერი (გერმანია) (0:3) წუხელ გვიან დამთავრდა*

## ფინეთი

ლიგის თასი
მესამე ტური
1 ჯგუფი
ჰონკა 4:0 ტურკუ

## ამხანაგური მატჩები

ესბიერგი 0:2 ვაილე
ლიუნგბიუ 2:3 ნესტვედი
ფრედრიკსტადი 1:2 ტრომსიო
კალმარი 2:1 ვოლერენგა



საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე ხვალ განახლდება. 10 გოლით პირველი წრის საუკეთესო ბომბარდირი თბილისის „დინამოს“ შემტევი მიხეილ ხუციშვილი გახდა. „დინამომ“ ორი შეკრება თურქეთში გაიარა და თავიდან ხუციშვილს ამის თაობაზე ვკითხეთ...

# მოვიგებ და წავალ

## მიხეილ ხუციშვილი: ჩემპიონობაც მინდა და თასიც

— ორივე შეკრება ნაყოფიერი იყო — პირველი ფიზიკურ მომზადებას დაეთმო, მეორეზე კი ოთხი ტესტ-მატჩი ჩავატარეთ.

**— ჩეხურ „ბანიკთან“ 2:8 წააგეთ — ასეთი რა მოხდა?**

— თავს არ ვიმართლებ, თუმცა ამინდმა თავისი გააკეთა. ძალიან ძლიერი ქარი იყო — იმათი მეკარის დარტყმული ბურთი ჩვენს საჯარიმოში ვარდებოდა, ჩვენი შეტევები კი ფერხდებოდა. პირველ 10 წუთში 0:4 ვაგებდით და ოთხივე გოლი კურიოზული იყო. ჩვენსა და „ბანიკს“ შორის ამხელა სხვაობა ნამდვილად არ არის.

**— გორში ცხინვალის „სპარტაკთან“ სათასო მატჩი გამართეთ და უგოლოდ გაეყარეთ...**

— „სპარტაკმა“ საკმაოდ დიდი წინააღმდეგობა გაგვიწია. ყველას უჭირს პირველი მატჩების მაღალ დონეზე ჩატარება, თან ასეთ ცუდ მოედანზე, თუმცა საპასუხო შეხვედრაში ყველაფერს გამოვასწორებთ და ნახევარფინალშიც გავალთ.

**— სამწუხაროდ, „დინამოს“ კლუბის პრეზიდენტი ბადრი პატარკაციშვილი გარდაიცვალა და ეს რამე გავლენას ხომ არ მოახდენს გუნდზე? ფინანსურ პრობლემებს ვგულისხმობ...**

— კლუბის მმართველი დირექტორი გიორგი ტყავაძე და სხვა ხელმძღვანელები შეგვხვდნენ. საუბარი სწორედ ამაზე იყო და, როგორც გვითხრეს, ყველაფერი რიგზე იქნება. პირიქით — გაათკეცებული ენერგიით უნდა ვიბრძოლოთ ჩემპიონობისა და თასისთვის.

**— მეორე წრის პირველ შეხვედრაში ჩემპიონ რუსთავის „ოლიმპს“ ხვდებით. რას იტყვი ამ მატჩზე?**

— რთული თამაში იქნება. „ოლიმპი“ კარგი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდია. უკრაინელი თავდამსხმელი ალექსანდრ ომელიანოვიც შეიმატეს, ასე რომ, დიდი ბრძოლა გველის.

**— ჩვენს ჩემპიონატში მოთამაშე მცველებიდან ყველაზე მეტად ვისთან გიჭირს თამაში?**

— კონკრეტულად, არავისთან. ყურადღებას თუ მოადუნებ, ყველა დაგჩაგრავს და მეც ვცდილობ, ყოველთვის მობილიზებული ვიყო.

**— შემტევებიდან ვის გამოარჩევ?**

— ამერელები, დიმიტრი ტატანაშვილი და სულიკო დავითაშვილი კარგი თავდამსხმელები არიან. „ზესტაფონსაც“ ნორმალური შეტევის ხაზი ჰყავს — ზურაბ იონანიძე, ბექა გოცირიძე და ახლახან ნიკა გელაშვილიც შეუერთდათ.

**— თბილისის „დინამოსთან“ კონტრაქტი მაისში გიმთავრდება, უცხოეთში წასვლას ხომ არ ფიქრობ?**

— საქართველოში არ მეგულება ფეხბურთელი, რომელსაც უცხოეთისკენ არ ეჭიროს თვალი, თუმცა ახლა მხოლოდ „დინამოზე“ ვფიქრობ. მინდა, ჩემპიონობა და თასი მოვიგოთ.

**— აქამდე თუ გქონია უცხოეთიდან შემოთავაზება?**

— არაერთი კლუბი იყო დაინტერესებული — ბერძნული, ავსტრიული, კვიპროსული და ყოფილი საბჭოეთიდანაც, მაგრამ „დინამოს“ ხელმძღვანელობამ კატეგორიულად იუარა. აქ ტიტულებს მოვიგებ და შემდეგ თუ იქნება კარგი ვარიანტი, წავალ.

**ნუკრი ლოლაძე**

# სად არის ვიეირა?

## რუსებმა ზესტაფონის ბრაზილიელი ვლადივოსტოკში წაიყვანეს

**საქართველოს** ჩემპიონატის მეორე წრეს ერთ-ერთი ლიდერი „ზესტაფონი“ წამყვანი ფეხბურთელის, ბრაზილიელი ლეგიონერის, ჟილვან გომეშ ვიეირას გარეშე დაიწყებს.

იმერელთა ბრაზილიელი ვლადივოსტოკის „ლუჩ-ენერგიაში“ და, სავარაუდოდ, ლევან გვაზავას თანაგუნდელი გახდება.

ცნობას რუსული საინფორმაციო საშუალებები ავრცელებენ, თავად „ზესტაფონში“ კი ვიეირას წასვლას უარყოფენ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**





# თოვლბურთი

**დასავლეთ** საქართველოში დიდთოვლობაა, რამაც ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის დაწყებას გარკვეული პრობლემები შეუქმნა.

შეუძლებელი გახდა მატჩების ჩატარება ზუგდიდსა და გორში — ამის გამო საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგას პირველი ტურის სამ დღეზე გადანაწილება მოუწევს, ნაცვლად ორისა, როგორც აქამდე იყო გათვალისწინებული.

„მგლები“ — „მესხეთისა“ და „სპარტაკი“ — „სიონის“ მატჩები 23 თებერვლიდან 26 თებერვლისთვის არის გადატანილი, თუ, რა თქმა უნდა, ამინდი კვლავ არ გაჯიუტდა.

დაგეგმილ დღეს, 23-ში ჩატარდება მატჩი ბათუმში, სადაც გორის „დილა“ სტუმრობს. თუმცა ისიც საკითხავია, რამდენად შეძლებენ გორელები, საგზაო მოძრაობის შეზღუდვის გამო, ზღვისპირეთში ჩასვლას.

ამავე მიზეზით პრობლემები შეექმნა „ზესტაფონს“ — იმერეთიდან „ვიტ ჯორჯიასთან“ სათამაშოდ ავტობუსით აპირებდნენ წამოსვლას, თუმცა გადაიფიქრეს და თბილისშიც მატარებლით ეცდებიან ჩამოსვლას.

ასეა თუ ისე, პროფლიგამ ტური დღეებად უკვე დაყო, ფედერაციამ კი მსაჯებიც დანიშნა.

ერთიც: ტურის ყველა მატჩი 14 საათზე დაიწყება, გარდა „დინამო“ — „ოლიმპისა“, რომელსაც პირდაპირი რეპორტაჟის გამო 10 წუთით გვიანაა დაგეგმილი.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

### მეთოთხმეტე ტური

23 თებერვალი, შაბათი

**ბათუმი — დილა გორი**
**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი, ლ. მიქელაძე, ზვ. ერქვანია, პ. დოგრაშვილი

**დინამო თბილისი — ოლიმპი რუსთავი**
**მსაჯები:** დ. ხარიტონაშვილი, გ. ჩიგოგიძე, ზ. ფიფია, ა. ნონიკაშვილი

24 თებერვალი, კვირა

**ამერი თბილისი — ლოკომოტივი თბილისი**
**მსაჯები:** მ. ურუშაძე, მ. ელიკაშვილი, გ. ყრუაშვილი, ვ. გუმბერიძე

**მერანი თბილისი — ბორჯომი**
**მსაჯები:** გ. კიკაჩეიშვილი, ი. მაჩიტიძე, ი. კაკაბაძე, ი. ურუშაძე

**ვიტ ჯორჯია თბილისი — ზესტაფონი**
**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი, ზ. მენთეშაშვილი, ბ. ჭიჭინაძე, ვ. ელისაბედაშვილი

26 თებერვალი, სამშაბათი

**მგლები ზუგდიდი — მესხეთი ახალციხე**
**მსაჯები:** მ. ბეუქლიშვილი, ზ. ჯვარიძე, დ. კურტანიძე, გ. დოგრაშვილი

**სპარტაკი ცხინვალი — სიონი ბოლნისი**
**მსაჯები:** ო. ხეცაძე, ლ. თოდრია, ო. მოლოდინაშვილი, ლ. სილაგავა

### მეთხუთმეტე ტური

1 მარტი, შაბათი

**ზესტაფონი — მესხეთი ახალციხე**
**მსაჯები:** ლ. სილაგავა, კ. ბერაძე, ს. სპიცინი, კ. ჭაჭუა

**სიონი ბოლნისი — დინამო თბილისი**
**მსაჯები:** ლ. კვარაცხელია, ა. კოკაია, ი. უკლება, ლ. ფანიაშვილი

**ლოკომოტივი თბილისი — ვიტ ჯორჯია თბილისი**
**მსაჯები:** მ. ბეუქლიშვილი, ზ. ფიფია, დ. კვეტენაძე, ა. კრიჭაშვილი

**ბორჯომი — სპარტაკი ცხინვალი**
**მსაჯები:** პ. დოგრაშვილი, დ. სანოძე, ზ. ბერულავა, ჯ. ბუიშვილი

2 მარტი, კვირა

**ოლიმპი რუსთავი — ბათუმი**
**მსაჯები:** ა. ნონიკაშვილი, ზ. ხუციშვილი, მ. ელიკაშვილი, თ. გვანცელაძე

**დილა გორი — ამერი თბილისი**
**მსაჯები:** გ. ვადაჭკორია, კ. ტეფნაძე, ა. გუნთაძე, ზვ. ასკაროლლი

**მერანი თბილისი — მგლები ზუგდიდი**
**მსაჯები:** ო. ხეცაძე, ო. მოლოდინაშვილი, კ. გუდურაშვილი, მ. მაისურაძე


ფეხბურთი

თბილისი. ამერის სტადიონი

უმაღლესი ლიგა. მეთოთხმეტე ტური

24 თებერვალი

ამერი — ლოკომოტივი

თბილისი თბილისი

დასაწყისი 14 საათზე. ბილეთის ფასი 1 ლარი

# სიონის უცნაურობა და ჩხეტიანი აზერბაიჯანში


კახა ჩხეტიანი

**გუშინ** ბოლნისის „სიონს" კრება ჰქონდა და ყველა საორგანიზაციო საკითხი მოგვარდაო, გვითხრა კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ჯემალ ჭიპაშვილმა.

უცნაურია, მაგრამ პირველი წრის მსგავსად, „სიონს" რაიონის გამგეობა უპატრონებს, თუმცა... ბიუჯეტიდან თანხები არ გამოიყოფა.

მართლაც, საინტერესოა, როგორ შეინახავენ გუნდს.

ქობულეთურ შეკრებაზე გუნდს „ზესტაფონის" ყოფილი კაპიტანი კახა ჩხეტიანი კი ახლდა, მაგრამ იგი ერთ-ერთ აზერბაიჯანულ გუნდში წავიდა და დღე-დღეზე გაირკვევა, დარჩება თუ არა იქ. ყველა დანარჩენი ფეხბურთელი, რომლებიც შეკრებაზე იყვნენ, გუნდში რჩებიან.

„სიონს" მეორე წრის პირველი შეხვედრა 23 თებერვალს გორში, ცხინვალის „სპარტაკთან" უნდა ჰქონოდა, თუმც დიდთოვლობამ მატჩის გამართვის თარიღი შეცვალა და 26 თებერვალს ჩატარდება.

**ნუკრი ლოლაძე**

# ორი ქართველი ერთს უგოლოდ გაეყარა
## კვარაცხელიამ ტრავმა მიიღო

**თურქულ** შეკრებაზე გამართულ ტესტ-მატჩში ქართველთა გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს: ნუკრი მანჩხავა-გივი კვარაცხელია-აკაკი ხუბუტიას „კაუნასი" 0:0-ზე გაეყარა უკრაინულ „ზაკარპატიეს", სადაც სერგო ორბელაძეა გასინჯვაზე.

ორბელაძემ 15 წუთი ითამაშა შეცვლაზე, მანჩხავამ და ხუბუტიამ კი — თითო ტაიმი.

რაც შეეხება კვარაცხელიას, მას წინა მატჩში, „დნიპროსთან" ტრავმა მიუღია და „ზაკარპატიესთან" არ გამოჩენილა.

„ზაკარპატიემ" მეორე მატჩიც გამართა თურქეთის ერთ-ერთ ქვედალიგელ გუნდთან და 4:0 იმარჯვა, ორბელაძემ კი ამ მატჩში 90 წუთი იბურთავა.

**ილია ნანოგაშვილი**

# ცხადაძის მოლოდინი



**აზერბაიჯანის** ჩემპიონატში სადებიუტო მარცხის შემდეგ კახა ცხადაძე პირველი სამი ქულის აღებას ფიქრობს. მორიგ ტურში მისი „სტანდარდი" „ინტერს" მასპინძლობს.

„რთული თამაში იქნება, „ინტერი" საჩემპიონოდ იბრძვის. ვიმედოვნებ, კარგ თამაშს ვაჩვენებთ. „გაბალასთან" ეს შევძელით, თუმც დავმარცხდით, ამიტომ ახლა დროა, შედეგიც მივიღოთ და „ინტერთან" მოსაგებად გავალთ მოედანზე" — განაცხადა ცხადაძემ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ჩვენი მეტოქეების სამარტო მეტოქეები

**საქართველოს** ნაკრები 26 მარტს ამხანაგურად ჩრდილოეთ ირლანდიას გაეჯიბრება. ეს თარიღი უეფას კალენდრითაა გათვალისწინებული და ამ დღეს მსოფლიოს 2010 წლის შესარჩევ ეტაპზე ჩვენი მომავალი მეტოქეებიც ითამაშებენ.

ბულგარეთის ნაკრებმა მეტოქედ ფინეთი ირჩია და 26-ში სოფიაში „ვასილი ლევსკიზე" უმასპინძლებს.

ჩერნოგორიის ნაკრები კი სეზონს ნორვეგიელებთან დაპირისპირებით გახსნის — უეფას ყველაზე ახალგაზრდა წევრი სკანდინავიელებს პოდგორიცაში უმასპინძლებს.

ჩერნოგორიელებს კიდევ ორი ამხანაგური მატჩი აქვთ დაგეგმილი: 27 მაისს შინ ყაზახებთან, 31 მაისს სტუმრად რუმინეთთან.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

**საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი ზურაბ მენთეშაშვილი ლატვიურ „ვენტსპილსთან" ერთად თურქულ შეკრებაზეა და ახალი სეზონისთვის ემზადება. ლატვიური კლუბის ხელმძღვანელობა ჩვენებურს გუნდის საკვანძო ფეხბურთელად მიიჩნევს. „მენთეშაშვილმა, დიდი ხანია, თავი შეაყვარა ლატვიელ გულშემატკივარს, მისი ტექნიკური თამაში გაოცებას იწვევს" — წერია კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე, რომელმაც ქართველ ფეხბურთელთან ვრცელი ინტერვიუც გამოაქვეყნა...**



# მარტო ტექნიკით შორს ვერ წახვალ

**— მერამდენე თურქული შეკრებაა შენს კარიერაში?**

— არ მახსოვს, ძალიან ბევრი კი იყო...

**— პირველი გახსოვს?**

— „სკონტოსთან" ერთად გავიარე. მაშინ 18 წლის ვიყავი... კარგი მოგონებები დამრჩა იმ დროიდან, ძლიერი გუნდი იყო, მეგობრული...

**— სკონტოელი ვარსკვლავები ახალგაზრდებს არ გჩაგრავდნენ?**

— არა, ყველაფერი წესრიგში იყო. სიმართლე გითხრათ, ამის საშუალებაც არ მიმიცია არავისთვის.

**— გახსოვს, პირველად როდის გითხრეს, ტექნიკური ფეხბურთელი ხარო?**

— ჯერ კიდევ ბავშვობაში და ძალიან სასიამოვნო იყო. სხვადასხვა ტურნირზე ბევრი პრიზი მაქვს აღებული, როგორც ტექნიკურ ფეხბურთელს. ახლაც გამახსენდა, ჩემთვის ყველაზე ძვირფასი პრიზი...

**— რა პრიზი?**

— ფინეთში ვიყავით ტურნირზე და მეორე ადგილი დავიკავეთ ბრაზილიური გუნდის შემდეგ. მაშინ პირველად ვნახე სამაგიდო ფეხბურთი — ძალიან მომეწონა, მაგრამ ყიდვა არ შემეძლო. ტურნირის ბოლოს საუკეთესო ფეხბურთელად დამასახელეს და... პრიზად ეს სამაგიდო ფეხბურთი გადმომცეს. ძალიან გავიხარე, მაშინ 11 წლის ვიყავი...

**— და ეს ახლა რელიქვიაა?**

— კი. მას შემდეგ სახლში ვინახავ.

**— საქართველოში რომ ფეხბურთელს ტექნიკური უწოდო, ქათინაურია თუ?**

— ჩვენთან ტექნიკასთან ბევრი ფეხბურთელი „მეგობრობს". განსაკუთრებით, ნახევარმცველები და თავდამსხმელები, თუმც არიან ისეთებიც, რომლებიც ძალიან მაღალი ტექნიკით არ გამოირჩევიან.

**— შენ ბუნებრივად დაგყვა ეს ნიჭი?**

— ალბათ. პირველად ვარჯიშზე რომ მივედი, დავინახე, მწვრთნელი ბურთით ჟონგლიორობდა, თავიდან ვიფიქრე, რომ ამას ვერასდროს გავაკეთებდი...

**— ჩანს, ბურთი ძალიან გიყვარს...**

— ასეა. ბურთს ბავშვობაში მოედნის გარეთაც კი ვერ მართმევდნენ. მასთან ერთად ვიძინებდი. სახლში რამდენი ლარნაკი მაქვს გატეხილი, ვინ დათვლის — დედა ხშირად მიჯავრდებოდა.

**— ვისი ტექნიკა მიგაჩნია ეტალონად?**

— მარადონასი და ზიდანის.

**— რას ფიქრობს ტექნიკური ფეხბურთელი ისეთზე, რომელიც ტექნიკასთან მწყრალად არის?**

— არავითარ უპირატესობას არ ვგრძნობ. ტექნიკის გარდა, ფეხბურთში ბევრი ელემენტია და ნებისმიერს შეუძლია, თავისი უპირატესობა ჰქონდეს. არ ვარგა ისეთი ფეხბურთელი, რომელსაც ტექნიკა აქვს და ართმევაზე ვერ თამაშობს, ანაც ძალისმიერ ორთაბრძოლებს აგებს. ფეხბურთში ყველაფერი უნდა იცოდე, მარტო ტექნიკით შორს ვერ წახვალ.

**— ვარჯიშზე გრეხებბოლი მეკარე მარის ელტერმანისთან წყვილში ითამაშე და ჩინებულადაც...**

— ყველაფერი გავაკეთეთ, რაც შეგვეძლო. მეკარისთვის ძნელია მუდმივად ფეხით თამაში, მაგრამ მარისმა ნამდვილად გამაოცა — სიმართლე გითხრათ, არც ველოდი...

**— შესრულების მხრივ, რომელ გატანილ გოლს ვერ ივიწყებ?**

— „სკონტოში" რომ ვთამაშობდი, რიგაში „მეტალურგს" ვხვდებოდით, სემიონოვსი ფლანგზე გავიდა და პასი უკან მომცა, მეც მარცხენა ფეხით ცხრიანში გავიტანე.

**— აპრილისთვის სრულ მზადყოფნაში იქნები?**

— ამის იმედი მაქვს. ყველაფერს გავაკეთებ, რათა ვითამაშო. უკვე მომწყინდა უფეხბურთოდ.

**— „ვენტსპილსს" შენი უნივერსალიზმი სჭირდება...**

— სად და რომელ პოზიციაზე ვითამაშებ, ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია, ფეხბურთელის საქმე კი დავალების შესრულებაა. ისე, მართლაც, ბევრ პოზიციაზე მითამაშია — ნახევარდაცვაში საყრდენადაც და ფლანგზეც, დაცვაშიც, თანაც ორივე მხარეს.

**— გასულ სეზონზე რას იტყვი?**

— მეტი შემეძლო, მაგრამ ჩემპიონატი მოუმზადებელმა დავიწყე და ფორმის აღსადგენად დრო დამჭირდა. მთლიანობაში კი შედეგით კმაყოფილი დავრჩი — ყველაფერი მოვიგე. ერთადერთი ის მაწუხებს, რომ „სკონტოს" თასის ნახევარფინალში პენალტი ვერ გავუტანე. ამის გამო „ვენტსპილსს" რომ წაეგო, ვერ გადავიტანდი. მადლობა ბიჭებს, რომ ის თამაში მაინც მოვიგეთ.

**— რამდენად მნიშვნელოვანია შენთვის „ვენტსპილსში" მოპოვებული ოქროს მედალი? ლატვიის ჩემპიონობა არც მანამდე გაკლდა...**

— ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ვილაცებისთვის ჩემი უნდა დამემტკიცებინა. მიხარია, რომ ეს შევძელი და გუნდს ყველა ტიტულის მოპოვებაში დავეხმარე.

**— „სკონტოს" კარში გატანილი ლამაზი გოლი ალბათ ყველაზე მეტად დაგამახსოვრდა...**

— ნამდვილად. მართლა ლამაზი გოლი იყო და ძალიანაც გავიხარე. რაც მთავარია, მოვიგეთ. მხოლოდ იმაზე მწყდება გული, რომ მაშინ ბურთი ჩემს მეგობარ ზაალ ელიავას წავართვი, მაგრამ არა უშავს, გადაიტანს.

**— რამდენად მნიშვნელოვანია შენთვის „ვენტსპილსში" თამაში?**

— ვფიქრობ, ჯერ ჩემი პოტენციალი სრულად არ გამომივლენია და ამ გუნდში თამაში ძალიან მეხმარება.

**— თვლი, რომ საქართველოს ნაკრების ნახევარმცველს შეუძლია, ლატვიის ჩემპიონატში პროგრესი განიცადოს?**

— ეჭვიც არ მეპარება. ამას ისიც ადასტურებს, რომ ნაკრებში მუდმივად მიძახებენ. ისეც ხდება, რომ ფეხბურთელი უფრო მაღალი დონის ჩემპიონატში თამაშობს, მაგრამ ნაკრებში არაფერი გამოსდის. კლაუს ტოპმიოლერი კი მენდობა და ეს ფეხბურთელისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

**— ახლახან კი ლატვიის ნაკრებთან თითქმის უშანსოდ წააგეთ...**

— საწყენია. თქვენი გუნდი კარგად გამოიყურებოდა, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ ჩვენს ნაკრებში ბევრმა ახალგაზრდამ ითამაშა. საერთოდ, საქართველოს ნაკრებზე კარგის მეტს ვერაფერს ვიტყვი და ყოველთვის სიამოვნებით ჩავდივარ სათამაშოდ.

# რატომ გაბრაზდებოდა გრანტი?



**გერმანელმა** ვარსკვლავმა მიხაელ ბალაკმა განაცხადა, რომ „ჩელსიში“ ხელშეუხებელნი აღარ არიან და ეს ახალ მწვრთნელთან, ავრაამ გრანტთან არის დაკავშირებული.

და მართლაც, მაგალითისთვის თუნდაც სულ ახლანდელი ამბავი, ჩემპიონთა ლიგაში „ოლიმპიაკოსთან“ შეხვედრა გამოდგება, როდესაც გრანტმა თავისი გადაწყვეტილებით ბევრი გააკვირვა — „ლურჯების“ თავკაცმა, არც მეტი, არც ნაკლები, ჯონ ტერი და ფრენკ ლამპარდი დატოვა სათადარიგოთა სკამზე. ლამპარდის ნაცვლად ძირითადში ადგილი სწორედ იმ კაცს ერგო, ვისი ხსენებითაც ეს ამბავი დავიწყეთ — ბალაკზე მოგახსენებთ, რომელსაც პირეოსში თამაშის შემდეგ ახალი იმედი ჩაესახა. ის კვირას, „კარლინგის თასის“ ფინალშიც იმედოვნებს თამაშს და აქვე შეგახსენებთ, რომ ამ შეხვედრაში ლონდონელთა მეტოქე მათივე თანაქალაქელი „ტოტენჰემ ჰოთსპური“ იქნება.

31 წლის გერმანელი „ჩელსიში“ 2006 წელს გადავიდა, როდესაც „ბაიერნთან“ კონტრაქტის ვადა გაუვიდა და ბოსმანური თავისუფლება შეიგრძნო, თუმცა მალე გაირკვა, რომ კარგ ან ცუდ ფორმაში მის ყოფნას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან შემადგენლობაში „ჩელსის“ მაშინდელი თავკაცის, ჟოზე მაურინიუს ახირების მიხედვით ხვდებოდა ან ვერ ხვდებოდა... თუმცა, უფრო ვერ ხვდებოდა.

ხოლო, ავრაამ გრანტის ხელში ბალაკი რვათვიანი ტრავმების შემდეგ „ლურჯების“ შემადგენლობას დაუბრუნდა.

ბალაკი: „საბერძნეთში ჩემი თამაში მწვრთნელის გადაწყვეტილება გახლდათ. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ჯონი და ფრენკი კარგა ხანს ექიმებთან დადიოდნენ და გრანტმაც, ალბათ, ამის მიხედვით აწონ-დაწონა. საერთოდაც, ვფიქრობ, დღევანდელ „ჩელსიში“ ხელშეუხებელი აღარავინ არის. რა თქმა უნდა, ლამპარდიცა და ტერიც ჩვენი გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელები არიან, მაგრამ ტრავმის მერე დიდი სიფრთხილეა საჭირო. ეს საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი, მე ხომ რვა თვის განმავლობაში მოედანს მიღმა ვიყავი. საქმეში დაბრუნება მეტად რთულია, ტრავმამოშუშებული ზედიზედ ბევრ თამაშს ვერ ჩაატარებ. ავრაამ გრანტი გამოცდილი კაცია და ასეთი რამეები კარგად მოეხსენება. მან იცის, რასაც აკეთებს“.

გულშემატკივრებმა იციან, რომ პირეოსში ჩატარებული უგოლო თამაშის ბოლოს ბალაკი ლამპარდმა შეცვალა, ტერი კი ბოლომდე სათადარიგოთა სკამზე დარჩა.

და როგორ შეხვდა ამ ამბავს ლამპარდი? ის, როგორც ნამდვილი პროფესიონალი, მწვრთნელის გადაწყვეტილებას დაემორჩილა და განაცხადა, რომ ყველა ღონეს იხმარს, რათა რაც შეიძლება მალე დაიბრუნოს კარგი ფორმა. ეს რაც შეიძლება მალე კი, როგორც უკვე მოგახსენეთ, კვირა დღეა, როდესაც „უემბლიზე“ „კარლინგის თასის“ ფინალი იმართება.

ცნობისათვის: ბოლო ოთხ შეხვედრაში „ჩელსიმ“ სამი ფრე ითამაშა, რაც, ბუნებრივია, მისი ამბიციების მქონე გუნდს დიდ მინუსად ეთვლება და ახლა, სეზონის პირველი ჯილდოს მოგებით ამ მინუსის შთამბეჭდავ პლუსად გადაკეთების შანსი აქვს.

ლამპარდი: „მე და ჯონ ტერის სიტუაცია კარგად გვესმის. ჩვენთვის სრულიად გასაგებია, რატომაც არ გვათამაშა მწვრთნელმა „ოლიმპიაკოსთან“. ვფიქრობ, ადამიანი ნამდვილი პროფესიონალი უნდა იყოს და ასეთ რამეებს იოლად ხვდებოდეს, მაგრამ სხვა ამბავია, რომ სათადარიგოთა სკამზე ჯდომა არ მოგვწონს და ეს, თავის მხრივ, მწვრთნელსაც ესმის კარგად. პირიქით, ჩვენ სათადარიგოთა სკამს რომ ვეგუებოდეთ, ავრაამ გრანტი გაბრაზდებოდა კიდეც. ისე, ვინ იცის, ამ ტრავმების გამო იქნებ დავისვენეთ კიდეც და ახლა უკეთეს ფორმაში აღმოვჩნდეთ, ვიდრე წინა სეზონებში ამ დროს ვიყავით“.

**პაპუნა ძიძია**

# როკი: ლაციო სამუდამოდ!



**ძალიან** გაწელილი მოლაპარაკებების მერე რომის „ლაციომ“ თავის ფორვარდ ტომაზო როკისთან კონტრაქტი გააზანგრძლივა, თანაც 2013 წლამდე. წინა შეთანხმებას ვადა 2009 წლის ზაფხულში გასდიოდა.

გასულ ორ სეზონში 30 წლის თავდამსხმელმა 16-16 გოლი გაიტანა, მიმდინარე სეზონში კი მის ანგარიშზე უკვე 8 ბურთია. იგი ამჟამად „ბიანკო ჩელესტის“ ლიდერი და ფაქტობრივად შეუცვლელი ფორვარდია.

მოლაპარაკებები კი იმიტომ გაიწელა, რომ როკი დიდი ხანი ითხოვდა ხელფასის გაზრდას, რაც ხელმძღვანელებს არ სურდათ. კლუბიდან წასვლითაც კი იმუქრებოდა. საბოლოოდ მხარეები იმაზე შეთანხმდნენ, რომ თავხოტორა თავდამსხმელი სეზონში დაახლოებით 1,5 მილიონ ევროს მიიღებს.

„ლაციო“ სამუდამოდ! ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ბოლოს და ბოლოს ახალ ხუთწლიან კონტრაქტზე შევთანხმდით. ეს, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ კარიერას აქ დავასრულებ, რაც მახარებს. ყოველთვის მინდოდა, ასე მომხდარიყო და დიდ მადლობას ვუხდი ყველა ფანს, რომლებიც სულ გვერდზე მიდგნან და მენდობიან“ — აღნიშნა როკიმ.

**გიორგი ქაქაბაძე**

## ელ კლასიკო გარაისთვის

**ესპანური** პრესის ცნობით, „რეალს“ გადაწყვეტილი აქვს, ფულს მოსისხლე მტერ „ბარსელონას“ სანტანდერის „რასინგის“ მცველი ესეკიელ გარაი ცხვირწინ ააცალოს. 21 წლის არგენტინელი დღევანდელ პრიმერადივიზიონში თავის პოზიციაზე ერთ-ერთი საუკეთესოა. კატალონიელები „რასინგს“ 17 მილიონ ევროზე უკვე შეუთანხმდნენ, მაგრამ ფეხბურთელთან პირადი კონტრაქტის დეტალებზე ვერ მოილაპარაკეს და მადრიდელებიც შეეცდებიან, ამით ისარგებლონ. „ბარსას“ სარეზერვო ვარიანტად უკვე შეუგულებია თავისივე აღზრდილი ხერარდ პიკე, რომელიც ახლა „მანჩესტერ იუნაიტედის“ სათადარიგოთა სკამზე ზის.

## ჰოლანდიელს ჰოლანდიელი შეცვლის

**გერმანული** „ბილდის“ ინფორმაციით, „ჰამბურგის“ ჰოლანდიელ მწვრთნელ ჰუუბ სტევენსს სეზონის ბოლოს, ალბათ, მისი თანამემამულე ფრედ რუტინი შეცვლის. თითქმის გადაწყვეტილია, რომ სტევენსი პსვ-ს ჩაიბარებს. რუტენი კი ამჟამად „ტვენტეს“ წვრთნის და კლუბთან კონტრაქტი 2009 წლამდე აქვს. ამიტომ გერმანელებს ჰოლანდიური გუნდისთვის კომპენსაციის სახით ნახევარი მილიონი ევროს გადახდა მოუწევთ.

„ჰამბურგის“ მწვრთნელობის კანდიდატებად „მაინცის“ თავკაცი იურგენ კლოპი და „ბაზელის“ დამრიგებელი კრისტიან გროსი მოიაზრებიან.

## კასანო ლაციოში?

**„კორიერე დელო სპორტი“** იუწყება, რომ ანტონიო კასანო, შესაძლოა, „ლაციოში“ გადაბარგდეს. მოგეხსენებათ, „ხულიგანი“ ჯერაც „რეალის“ საკუთრებაა და იჯარის წესით „სამპდორიაში“ თამაშობს. თუმცა გენუელებს მისი კონტრაქტის გამოსასყიდი 5,5 მილიონი ევროს მოძიება გაუჭირდებათ და ვერც სათანადო ხელფასს დაუნიშნავენ. შესაძლოა, მომავალში „ბიანკოჩელესტიმ“ მადრიდელებთან მოლაპარაკება დაიწყოს.

## რასისტი კამპანიარო

**გასულ** უქმეებზე გამართული გენუური დერბის დროს ჯენოელმა აბდულაი კონკომ და სამპდორიელმა უგო კამპანიარომ რამდენჯერმე წაიკინკლავეს. კონკო არგენტინელს რასისტულ გამოხტომებში ადანაშაულებს. თუ ამას მსაჯი თავის ოქმში დაადასტურებს, კამპანიაროს რამდენიმემატჩიანი დისკვალიფიკაცია ელის.

„კამპანიარო რასისტულ შეურაცხყოფას მაყენებდა. ჩვეულებრივ, ესეთ გამოხტომებს სერიოზულად არ ვეკიდები ხოლმე და რეაგირებას არც ვაპირებდი, მაგრამ ეს ხომ დერბი იყო და მეც ძალიან აღელვებული ვიყავი. ეს ინციდენტიც ამიტომ მოხდა. საერთოდ, მშვიდი ადამიანი ვარ და ამგვარად წყობიდან მხოლოდ მეორედ გამოვედი. თუმცა ეს არ მამართლებს, ფანებისთვის და, განსაკუთრებით, ბავშვებისთვის ცუდი მაგალითი იყო. როცა მოვტრიალდი, გავიგონე, ვიღაცამ თქვა — ბოდიში. არ ვიცი, ეს კამპანიარო გახლდათ, თუ სხვა ვინმე, მაგრამ, ასეა თუ ისე, ჩემთვის ეს საკითხი დახურულია“ — თქვა კონკომ.

**კოკი ძანძელაძე**

## შოტლანდია

### პრემიერლიგა
### გადადებული მატჩი

**მოზერუელი 3:1 ინვერნესი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 24 | 19 | 2 | 3 | 56:17 | 59 |
| სელტიკი | 24 | 17 | 4 | 3 | 61:18 | 55 |
| მოზერუელი | 24 | 14 | 2 | 8 | 38:30 | 44 |
| დანდი იუნ. | 26 | 12 | 4 | 10 | 39:33 | 40 |
| ჰიბერნიანი | 25 | 9 | 8 | 8 | 37:33 | 35 |
| ფოლკირკი | 26 | 10 | 5 | 11 | 38:40 | 35 |
| ინვერნესი | 26 | 10 | 3 | 13 | 34:41 | 33 |
| აბერდინი | 26 | 9 | 6 | 11 | 30:41 | 33 |
| ჰართსი | 26 | 8 | 6 | 12 | 36:43 | 30 |
| სენტ მირენი | 24 | 7 | 5 | 12 | 17:41 | 26 |
| კილმარნოკი | 26 | 5 | 7 | 14 | 24:38 | 22 |
| გრეტნა | 25 | 3 | 4 | 18 | 22:57 | 13 |

## საბერძნეთი

### სუპერლიგა
### გადადებული მატჩი

**ლევადიაკოსი 3:0 ირაკლისი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 21 | 14 | 5 | 2 | 38:14 | 47 |
| პანათინაიკოსი | 20 | 14 | 4 | 2 | 29:7 | 46 |
| აეკ | 20 | 14 | 0 | 6 | 41:13 | 42 |
| არისი | 21 | 10 | 5 | 6 | 22:14 | 35 |
| ასტერასი | 21 | 8 | 8 | 5 | 18:13 | 32 |
| ქსანთი | 20 | 9 | 4 | 7 | 26:19 | 31 |
| პაოკ | 21 | 9 | 2 | 10 | 24:21 | 29 |
| ლარისა | 21 | 6 | 10 | 5 | 17:17 | 28 |
| პანიონიოსი | 21 | 8 | 4 | 9 | 24:32 | 28 |
| ოფი | 21 | 6 | 5 | 10 | 27:33 | 23 |
| ირაკლისი | 21 | 5 | 8 | 8 | 16:23 | 23 |
| ატრომიტოსი | 20 | 6 | 4 | 10 | 16:23 | 22 |
| ლევადიაკოსი | 21 | 6 | 3 | 12 | 18:37 | 21 |
| კალამარია | 21 | 4 | 7 | 10 | 21:37 | 19 |
| ვერია | 21 | 4 | 5 | 12 | 14:30 | 17 |
| ერგოტელისი | 21 | 2 | 8 | 11 | 13:31 | 14 |

## ლიბერტადორესის თასი 2008

### III ჯგუფი. I ტური

**მარაკაიბო (ვენესუელა) 1:1 ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)**

1:0 რ. მეა ვიტალი (81), 1:1 ბატალია (83)

### V ჯგუფი. I ტური

**ამერიკა (მექსიკა) 2:1 უნივერსიდად კათოლიკა (ჩილე)**

1:0 კაბანიასი (38), 1:1 ბოტინელი (71), 2:1 ფ. იგუაინი (90)

### VIII ჯგუფი. I ტური

**არსენალი (არგენტინა) 1:0 ლიბერტადი (პარაგვაი)**

1:0 ლეგიზამინი (80)

**ლიგა დე კიტო (ეკვადორი) 0:0 ფლუმინენსე (ბრაზილია)**

SLOT POKER CLUB VEGA
ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას წარმოგიდგენთ
სლოტ პოკერ კლუბი VEGA
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
## მერვედფინალი. პირველი მატჩები

**სელტიკი 2:3 ბარსელონა**

1:0 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (16), 1:1 მესი (18), 2:1 რობსონი (38), 2:2 ანრი (52), 2:3 მესი (79)

**სელტიკი:** ბორუცი, კედისი (უილსონი 61), კოლდუელი, მაკმანუსი, ნეილორი, ნაკამურა, ჰარტლი (დონატი 65), რობსონი, მაკგიდი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (სამარასი 55), მაკდონალდი

მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი

**ბარსელონა:** ვალდესი, პუიოლი, მარკესი, მილიტო, აბიდალი, დეკუ (ხავი 66), ი. ტური, ინიესტა, მესი, რონალდინიო (ეტოო 73), ანრი (გუდიონსენი 88)

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

გაფრთხილება: რობსონი, დეკუ, ჰარტლი, სამარასი

მსაჯი: პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)

59 000 მაყურებელი

# ბარსას გმირი მესია


ლეოს ზუსტი გასროლა და „ბარსა“ ცალი ფეხით მეოთხედფინალშია

**საბუკმეიკერო** კანტორების აზრით, ჩემპიონთა ლიგის მთავარმა ფავორიტმა „ბარსელონამ“, ფაქტობრივად, პირველივე მატჩში დაუმთავრა საქმე „სელტიკს“. შინ ტრადიციულად კარგად მოთამაშე გლაზგოელთათვის ყველაფერი ჩინებულად დაიწყო, მაგრამ...

23 დეკემბრის მერე ძირითად შემადგენლობაში პირველად მოთამაშე რონალდინიო ასე თუ ისე აქტიური გახლდათ და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნა.

ბრაზილიელს ძირითადად 19 წლის პოლ კედისი ეთამაშებოდა, რომელიც ევროსარბიელზე პირველ მატჩს ატარებდა. ახალგაზრდა მცველმა ერთ ეპიზოდში კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი.

მიუხედავად იმისა, რომ კატალონიელები თავიდანვე უკეთ გამოიყურებოდნენ, წინ „სელტიკი“ გავიდა — ლი ნეილორმა მშვენივრად ჩააწოდა, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი კი ორ მცველს შორის გამოფრინდა და მძლავრი თავურით გაცხრილა ვიქტორ ვალდესი.

სტუმრებს ოდენ ორი წუთი დასჭირდათ წონასწორობის აღსადგენად. ლიონელ მესიმ დეკუსთან კარგად გაითამაშა კედელი და არტურ ბორუცს ტექნიკურად გადაატარა ბურთი.

ტაიმი მაინც გლაზგოელებმა მოიგეს. 38-ე წუთზე აიდენ მაკგიდი მარცხენა ფლანგზე მშვენივრად გაიჭრა და ბურთი თავზე დაასვა ბარი რობსონს, რომლის ოსტატურად დარტყმულიც თავზე გადაევლო რატომღაც ცოტა წინ გამოსულ ვალდესს. სხვათა შორის, ჩემპიონთა ლიგაში ეს რობსონის სადებიუტო მატჩი იყო.

მეორე ტაიმში „სელტიკს“ ძალები აღარ იყო, „ბარსას“ მაღალმა კლასმა თავი იჩინა და კატალონიელებმა შეძლეს კიდეც დამსახურებული გამარჯვების მოპოვება.

ულამაზესი გახლდათ ტიერი ანრის გოლი — ფრანგმა რონალდინიოსგან პასი მარცხენა ფლანგზე მიიღო, ცოტა ცენტრისკენ გადაინაცვლა და შორეულ კუთხეში ბრწყინვალე, მოჭრილი დარტყმით ბორუცი სტატისტად აქცია.

გამარჯვებისა კი მატჩის გმირმა მესიმ შეაგდო, რომელიც ახლა 6 გოლით ლიგის საუკეთესო ბომბარდირია. 79-ე წუთზე სტივენ მაკმანუსს ბურთის საჯარიმოდან გამოტანა უნდოდა, მაგრამ მასიმო დონატის ვერ ააცილა, არგენტინელი ვითარებაში უმალვე გაერკვა და ახლოდან ზუსტადაც დაარტყა.

„სელტიკის“ მწვრთნელი გორდონ სტრაჩანი: „კარგად დასახული გეგმის მიხედვით ვთამაშობდით და მაქსიმალურად ვცდილობდით, შეგვეტია, მაგრამ საბოლოოდ იმარჯვებს ის, ვინც უფრო კომბინაციურად თამაშობს. გარდა ამისა, ბევრი უხეში შეცდომა დავუშვით, რომლებიც ძვირად დაგვიჯდა. ძალიან დასანანია, საკუთარ მოედანზე გაიტანო ორი გოლი და ვერ მოიგო. ვფიქრობ, „ბარსელონას“ მსოფლიოში უძლიერესი შემადგენლობა ჰყავს, მაგრამ გახდება თუ არა პლანეტის უძლიერესი კლუბი, მომავალი გვაჩვენებს. კატალონიელებისთვის რომ გვეჯობნა, ჩვენი ცხრა ან ათი მოთამაშე საკუთარ თავზე მაღლა უნდა ამხტარიყო, რაც დღეს არ მოხდა. ბევრ მათგანს გამოცდილება არ ეყო, მაგრამ ნელ-ნელა ვიხვეწებით. შევეცდებით, „ნოუ კამპზე“ მაქსიმალურად კარგად ვითამაშოთ, მაგრამ იმითაც ამაყნი ვართ, რომ მერვედფინალში გავედით. რაც შეეხება გარი კოლდუელს, არა მგონია, ყველაფრის მისთვის დაბრალება სწორი იყოს. მით უმეტეს, რომ იგი ბრწყინვალე იყო, ვიდრე მის შეცდომას ანრის გოლი მოჰყვებოდა“.

„ჩვენი თამაშით ძალიან კმაყოფილი ვარ და, ცხადია, შედეგიც მახარებს. „სელტიკი“ ძლიერი გუნდია, რაც დღესაც დადასტურდა და ძიმე საპასუხო შეხვედრა გველის. მთავარია, მატჩის სადავეები მუდამ ხელთ გვეპყრა. როცა 1:2-ს ვაგებდით, მაშინაც კი არ გვეპარებოდა ეჭვი, რომ ყველაფერი კარგად დასრულდებოდა. ჩვენი კლუბის ფილოსოფია შეტევაა და ეს ამჯერადაც მშვენივრად გამოგვივიდა. განსაკუთრებული მადლობა და მილოცვები, როგორც ჩემი, ასევე მთავარი მწვრთნელის სახელით, იმ ორიათას ქომაგს, რომლებიც გლაზგოში ჩამოგვყვნენ“ — განაცხადა კატალონიელთა თავკაც ფრანკ რაიკარდის თანაშემწემ იოჰან ნეესკენსმა.

**გიორგი ძაძაგაძე**

**ფენერბაჰჩე 3:2 სევილია**

1:0 კეჟმანი (17), 1:1 ედუ (23ს.კ.), 2:1 ლუგანო (57), 2:2 ესკუდე (66), 3:2 სემიჰი (87)

**ფენერბაჰჩე:** ვოლქანი, გოხანი, ედუ, ლუგანო, რ. კარლოსი (ვედერსონი 68), სელჩუკი, აურელიო, უღური (კაზიმ-რიჩარდსი 78), დეივიდი, ალექსი, კეჟმანი (სემიჰი 84)

მწვრთნელი: ზიკო

**სევილია:** პალოპი, დანი ალვეში, ესკუდე, დრაგუტინოვიჩი, ადრიანუ, ხესუს ნავასი, კეიტა, პოულსენი, დუდა (კაპელი 63), ლუიშ ფაბიანო, კანუტე

მწვრთნელი: მანუელ ხიმენესი

გაფრთხილება: უღური, კეჟმანი, კარლოსი, პალოპი, ალექსი, სელჩუკი

მსაჯი: ფლორიან მეიერი (გერმანია)

46 000 მაყურებელი

# ბრძენი ზიკო და ბედნიერი სტამბოლი


როცა ზიკომ კეჟმანი შეცვალა, ბევრმა გაიკვირვა, მაგრამ...

**ის, რაც** სტამბოლში, „შუქრუ სარაჩოღლუზე“ ხდებოდა, ძნელია, სიტყვებით აღწერო: მერე რა, რომ მხოლოდ 3:2 იყო. მოგებით გახარებულმა თურქულმა ფანობამ სიხარულისგან ისეთი ღრიანცელი მოაწყო... გაუხარდებოდათ, აბა, რა იქნებოდა — თურქული კლუბი ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში პირველადაა პლეიოფში და სტამბოლშიც „ფენერის“ წარმატება საარაკოდ მიიჩნიეს.

ცხადია, ძალიან ამაყია ამ ყველაფრის შემოქმედი, „ფენერბაჰჩეს“ ბრაზილიელი მწვრთნელი, წარსულში ლეგენდარული ფეხბურთელი ზიკო: „რასაც ველოდი, ის გამოვიდა. ძალიან ძნელი თამაში იყო და მიხარია, რომ მოვიგეთ. ჩემმა გუნდმა დღეს თავისი მაქსიმუმი გამოავლინა. დაამარცხო „სევილია“, იოლი როდია. ახლა ვიცი, თუ რაოდენ ურთულესი 90 წუთის გადატანა მოგვიწევს „სანჩეს პისხუანზე“, მაგრამ ჩემი ბიჭების თამაშის შემხედვარე, ნაღდად იმედიანად ვარ“.

სამაგიეროდ, უხასიათოდ გახლდათ ესპანელთა თავკაცი მანოლო ხიმენესი. „როგორი საქმეა, თამაშს ორჯერ აგებდე, მერე ორჯერვე ათანაბრებდე და ბოლოს... ცხადია, გაბრაზებული ვარ. არ უნდა წაგვეგო, ვფიქრობ, ფრე უფრო სამართლიანი შედეგი იქნებოდა. პოზიტიური კი ისაა, რომ სტუმრად ორი გოლი შევაგდეთ, რაც საპასუხო მატჩისთვის ჩვენთვის მცირედი უპირატესობაა“.

„ფენერი“ სერბმა მატეა კეჟმანმა დააწინაურა მე-17 წუთზე, თუმცა სტამბოლელთა ბრაზილიელმა მცველმა ედუმ ექვს წუთში ავტოგოლით სტატუს-კვო აღადგინა. დაიწყო მეორე ტაიმი და 57-ეზე დიეგო ლუგანომ კვლავ წინ გაიყვანა მასპინძლები, თუმცა ჟულიენ ესკუდემ, სევილიელთა მცველმა, ტაბლოზე ისევ საყაიმო ანგარიში აანთო. 2:2-ია, თამაში მთავრდება, სტუმარი სასურველი ანგარიშის შენარჩუნებას ცდილობს, მასპინძელი იქით აწვება და ამ დროს ზიკომ კეჟმანის მაგივრად მინდორზე სემიჰი შეუშვა. შეუშვა და ფორვარდმაც შესვლიდან სამ წუთში ის გოლი შეაგდო, „შუქრუ სარაჩოღლუ“ რომ გადარია — 3:2.

**გიორგი ვაჟაძიძე**

# ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
## მერვედფინალი. პირველი მატჩები

**არსენალი 0:0 მილანი**

**არსენალი:** ლემანი, სანია, კ. ტურე (სენდეროსი 7), გალასი, კლიჩი, ებუე (უოლკოტი 90), ფლამინი, ფაბრეგასი, გლები, ადებაიორი, ედუარდო (ბენდტნერი 74)
**მწვრთნელი:** არსენ ვენგერი
**მილანი:** კალაჩი, ოდო, ნესტა (იანკულოვსკი 50), კალაძე, მალდინი, გატუზო, პირლო, ამბროზინი, ზეედორფი (ემერსონი 86), კაკა, პატო (ჯილარდინო 77)
**მწვრთნელი:** კარლო ანჩელოტი
**გაფრთხილება:** პატო, სენდეროსი, ებუე
**მსაჯი:** კლაუს-ბო ლარსენი (დანია)
**60 000 მაყურებელი**

# სან სიროზე დიდი ომი იქნება


„მილანი“ უგოლო ფრეს მალდინის, კალაძეს და მათ დაცვით პარტნიორებს უნდა უმადლოდეს

**„ფანტასტიკურად** ვითამაშეთ, მეტოქეს 90 წუთი მაღალი ტემპი შევთავაზეთ, მომენტებიც შევქმენით, მაგრამ რად გინდა, სამწუხაროდ, უპირატესობა თუნდაც ერთ გოლში ვერ ავსახეთ. კმაყოფილი ვარ და ვფიქრობ, არც 0:0-ია ურიგო შედეგი. დარწმუნებული ვარ, საპასუხო მატჩში „მილანი“ უფრო გაიხსნება, რაც ჩვენ შანსს სწრაფი კონტრშეტევებისას მოგვცემს. მოკლედ, იმედიანად ვარ“ — ეს სიტყვები, ალბათ მიხვდით, „არსენალის“ თავკაც არსენ ვენგერს ეკუთვნის, რომელმაც ნამატჩევს „როსონერი“ შეაქო კიდეც, დაცვაში შეუდარებლად ითამაშესო.

კოლეგას არც „მილანის“ თავკაცი კარლო ანჩელოტი ჩამორჩა, მეტოქეს კომპლიმენტები უძღვნა მშვენიერი თამაშისთვის და თქვა: „არ ვარ დარწმუნებული, რომ მეოთხედფინალში გასვლა ახლა უფრო გაგვიადვილდება. „სან სიროზე“ ძალიან რთული თამაში გველის, ამაში დღეს „არსენალის“ ბრწყინვალებამ დამარწმუნა“.

„წითელ-შავების“ ბრაზილიელი სუპერვარსკვლავი რიკარდო კაკა, რომელსაც გუშინწინ, ფაქტობრივად, ღირებული არაფერი გაუკეთებია, ქომაგებს მიმართავს, თქვენი მხარდაჭერის გარეშე შემდეგ ეტაპზე გასვლა გაგვიჭირდებაო: „სან სიროზე“ 80 000 კაცი მოვა, ეს კი ჩვენთვის დამატებითი სტიმულია. რაც შეეხება ჩემს თამაშს, გეთანხმებით, აშკარად ჩავაგდე, მაგრამ ეს იმის ბრალია, რომ ფორმაში არ ვარ. მუხლის ტრავმა ახალი მოშუშებული მაქვს. საპასუხო მატჩამდე ორი კვირაა და იმედია, მანამდე სასურველ ფორმაში ვიქნები.

ახლა ორიოდ სიტყვა ვთქვათ თამაშზეც, რომელსაც სპეციალისტები ერთი სიტყვითაც კი შეაფასებენ: „არსენალმა“, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, „შეჭამა“ ჩემპიონთა ლიგის მოქმედი გამარჯვებული და თუ გოლი ვერ გაიტანა, იტალიელთა დაცვის და მეკარე ჟელკო კალაჩის დამსახურებაა. „ვიცოდით, რომ „მილანი“ აქ დაცვითი ფეხბურთის სათამაშოდ ჩამოვიდოდა და ეს გააკეთა კიდეც“ — იტყვის ნამატჩევს ვენგერი.

თუმცა მატჩში პირველი რეალური საგოლე მომენტი სტუმრებმა შექმნეს — მე-5 წუთზე პირლოს ჩაწოდებულ კუთხურს 39 წლის პაოლო მალდინიმ თავი შეაგება, 38 წლის იენს ლემანმა კი კარში მიმავალი ბურთი სასწაულებრივად მოიგერია.

ეს იყო და, „არსენალი“ ამოქმედდა, „მეთოფეთა“ ნახევარდაცვამ (ებუე-ფაბგერასი-გლები) „როსონერის“ შუა ხაზი (გატუზო-პირლო-ამბროზინი) აშკარად დაჩაგრა, რის ხარჯზეც მასპინძლებს ქმანუელ ადებაიორამდე ბურთის სწრაფად მიტანა უადვილდებოდათ, საჯარიმოში კი მაღალი ტოგოელი მუდმივ ტერორში ამყოფებდა სტუმრებს. მაგრამ ხან „მილანის“ დაცვა ყოჩაღობდა, უმეტესად კი მეკარე კალაჩი — ავსტრალიელმა ყოველგვარი ნერვიულობის გარეშე აუღო ბურთები ებუეს, ფლამინის, ფაბრეგასს, გლებს და, რა თქმა უნდა, ადებაიორს და უკვე მსაჯის მიერ დამატებულ ბოლო წუთზე, როცა „მილანს“ ვერც კალაჩი შველოდა, ადებაიორის თავურის მერე ბურთი ხარიხას მოხვდა...

**გიორგი ვაშაკიძე**

**ლიონი 1:1 მანჩესტერი**

**1:0 ბენზემა (54), 1:1 ტევესი (87)**
**ლიონი:** კუპე, რეველიერი, სკილაჩი, ბუმსონგი, გროსო, კლერკი (ბენ არფა 78), ჟუნინიო (ბოდმერი 74), ტულალანი, კალსტრიომი, გოვუ, ბენზემა (ფრედი 83)
**მწვრთნელი:** ალენ პერენი
**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ბრაუნი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, სქოულზი (ტევესი 65), ჰარგრივსი (კარიკი 78), ანდერსონი, გიგზი (ნანი 65), რონალდუ, რუნი
**მწვრთნელი:** ალექს ფერგიუსონი
**გაფრთხილება:** რეველიერი, კალსტრიომი, ბუმსონგი, ჰარგრივსი
**მსაჯი:** ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)
**38 000 მაყურებელი**

# იუბილარები
## სერ ალექსმა შეცვლები გამოიცნო


„წითელი ეშმაკუნები“ მარცხისგან კარლოს ტევესის გოლმა იხსნა

**ამ შეხვედრაში** ორ ფეხბურთელს იუბილე ჰქონდა — გრეგორი კუპემ „ლიონის“ მაისურა მეხუთასედ მოირგო, რაიან გიგზისთვის კი ეს მეასე მატჩი გახლდათ ჩემპიონთა ლიგაში.

კუპემ „ლომები“ რამდენჯერმე იხსნა. გიგზს საუკეთესო მატჩი ნამდვილად არ ჩაუტარებია, თუმცა ვეტერანი უელსელის კლუბი 1:1-ით უდავოდ უფრო კმაყოფილი დარჩა, ვიდრე მასპინძლები.

„ლიონი“ სულ მცირე უპირატესობას ფლობდა და ცოტა უფრო მწვავედაც უტევდა, მაგრამ მთლიანობაში ფრე სამართლიან შედეგად ჩაითვლება.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ რიგებში ტრადიციულად აქტიური იყო კრიშტიანუ რონალდუ, მაგრამ პორტუგალიელსა და მის თანაგუნდელებს 87-ე წუთამდე „ლიონის“ კარგად მოთამაშე დაცვასთან და მეკარესთან ჭიდილში არაფერი გამოუვიდათ. უეინ რუნი ერთხელ კუპესთან პირისპირაც გავიდა, მაგრამ...

„ლომების“ ლიდერთაგანი ჟუნინო პერნამბუკანოც გამოირჩეოდა, ისევე როგორც ქარიმ ბენზემა და სხვანი, მაგრამ „ლიონმაც“, მეტოქის დარად, ოდენ ერთი მომენტის გამოყენება შეძლო.

54-ე წუთზე ბენზემამ ჟერემი ტულალანის პასი მიიღო და საჯარიმოს მისადგომებიდან თავისგან მარჯვენა დაბალ კუთხეში ისე ძლიერად და ზუსტად დაარტყა, რომ გრძელხელება და მაღალი ედვინ ვან დერ სარი აბსოლუტურად უძლური იყო.

ალექს ფერგიუსონმა 65-ე წუთზე გიგზის ნაცვლად ნანი, პოლ სქოულზის ნაცვლად კი კარლოს ტევესი შეუშვა მინდორზე და ამან შედეგი გამოიღო. მათ „წითელი ეშმაკების“ იერიშები ერთიორად გაახალისეს.

87-ე წუთზე სტუმრებმა სწორედ ამ ორი ფეხბურთელის წყალობით გაათანაბრეს ანგარიში. ნანის ჩაწოდებული ფრედმა უხეიროდ მოიგერია და ტევესსაც ახლოდან გატანა არ გასჭირვებია.

აღვნიშნოთ ისიც, რომ ამ შეხვედრაში ყვითელი ბარათი მიიღო ანტონი რევეიერმა, რომელსაც ადრინდელი გაფრთხილება ჰქონდა გამოყოლილი და „ლიონის“ მცველი საპასუხო მატჩში ვერ ითამაშებს.

„ბოლო წუთებზე გაშვებული გოლი ძალიან დასანანია. პარადოქსია, მაგრამ იქამდე ჩვენც რომ არ გაგვეტანა და ჯობდა, შეხვედრა 0:0 მორჩენილიყო, მეოთხედფინალში გასვლის გაცილებით მეტი შანსი გვექნებოდა. ახლა მეტოქეს დიდი უპირატესობა აქვს. მთლიანობაში ჩვენი თამაშით კმაყოფილი დავრჩი, საინტერესოდ გამოვიყურებოდით. გუნდური, კონცენტრირებული და კარგი ფეხბურთი ვაჩვენეთ. მატჩის მიწურულს დაღლილობა ჩვენც დაგვეტყო და „მანჩესტერსაც“. იმედი მქონდა, რომ მინდორზე ახალშესული ფრედი, ბენ-არფა ან ბოდმერი კონტრიერიშზე მეორე გოლს გაიტანდნენ, მაგრამ... ქარიმ ბენზემას დღეს განსაკუთრებულად იცავდნენ და მისთვის რთული. მატჩი გახლდათ, მაგრამ ამოცანას თავი ჩინებულად გაართვა“ — თქვა „ლიონის“ მწვრთნელმა ალენ პერენმა.

ალექს ფერგიუსონი: „ამ შეხვედრამ ჩვენი და „ლიონის“ სამი წლის წინანდელი მატჩი გამახსენა, რომელიც 2:2 მორჩა. მეტოქემ ძალიან ლამაზი გოლი გაგვიტანა და ენერგიით დაიმუხტა. თან მასპინძლები თავს კარგად იცავდნენ. ის გოლი ფაქტობრივად არაფრისგან გავუშვით, მაგრამ ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ახალგაზრდა ბენზემას კლასს, მისი დარტყმა ბრწყინვალე იყო. არადა, იმ მომენტში ვფიქრობდი, რომ თამაშს მთლიანად ვაკონტროლებდით. შეტევის გასაძლიერებლად კიდევ ბევრი ვარიანტი მრჩებოდა — ტევესი და ნანი მიზნის მიღწევაში დაგვეხმარნენ. ხასიათი გამოვავლინეთ, ბოლო წუთებზე უმნიშვნელოვანესი გოლი გავიტანეთ და ახლა შემდეგ ეტაპზე გასვლის კარგი შანსი გვაქვს“.

**კოკი კანდელაკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „საფეხბურთო კომერცია სამართლის წინააღმდეგ



რიჩარდ სკუდემორის იდეა ყველას როდი მოწონს

**„სარბიელის“** მკითხველმა იცის, რომ ინგლისური პრემიერლიგის შეფებს დიდი გეგმები აქვთ — თავიანთი ჩემპიონატის ერთი დამატებითი ტურის შემოღებასა და ამ ტურის შეხვედრების საზღვარგარეთ თამაშს აპირებენ. კერძოდ, ამ კომერციული ტურის თარიღი თავიდანვე გამოცხადდება და, ბუნებრივია, უმალ გამოჩნდებიან ქალაქები, რომელთაც მისი მატჩების მასპინძლობა მოუნდებათ.

პროექტი, ერთი შეხედვით, ყველასთვის მომგებიანია. თავად განსაჯეთ — ის ქალაქები, რომლებიც მატჩებს უმასპინძლებენ, ფულს იშოვნიან — გაივსება სტადიონები და, ალბათ, ტელეტრანსლაციების თანხებიც შეემატებათ — ამ ყველაფრით იხეირებენ კლუბებიც, იხეირებს პრემიერლიგაც, იხეირებს „იმ“ ქალაქების ფანობაც (როგორია, შენს ქალაქში ინგლისის ჩემპიონატის შეხვედრა რომ გაიმართება?), მაგრამ, როგორც ყველაფერს, ამ პროექტსაც ჰყავს მოწინააღმდეგენი და ერთ-ერთი მათგანი თვით ფიფა ყოფილა.

პრემიერლიგის პროექტის ამოქმედება 2010-2011 წლებში სურდა, მაგრამ მისი აღმასრულებელი შეფი რიჩარდ სკუდემორი ფიფას შტაბში სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა და იქიდან გამოსულმა, ჟურნალისტებს ასე უთხრა:

„დიახ, ჩვენს გეგმას საკმაოდ მტრული რეაქცია ერგო და, ბუნებრივია, ჩვენ მის განხორციელებას არავითარ შემთხვევაში არ შევუდგებით, თუ ფიფასგან ნებართვა და კეთილგანწყობა არ გვექნება. ცხადზე უცხადესია, რომ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციასა და საფეხბურთო ლიგას ჩვენი პროექტების გამო პრობლემები არ უნდა შეექმნას“.

მაგრამ ფიფა ფიფად და დამატებითი ტურის იდეას თვით პრემიერლიგის წიაღშიც გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგეები. ასეთთა შორისაა, მაგალითად, „ლივერპულის“ ესპანელი მწვრთნელი რაფა ბენიტესი. ის აცხადებს, რომ უკვე არსებულ 38 მატჩს კიდევ ერთი და თან შორეული, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაემატოს. ამ შემთხვევაში ესპანელი სპეციალისტი კომერციულ ინტერესებზე მაღლა ფეხბურთელების გადაღლას, შედეგთა სამართლიანობას და საბოლოოდ თამაშის ხარისხს აყენებს.

„არსენალის“ ფრანგმა თავკაცმა არსენ ვენგერმა კატეგორიულობისგან თავი შეიკავა, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ლეგენდარულმა შეფმა სერ ალექს ფერგიუსონმა კი არათუ თავი არ შეიკავა, ბრაზიც კი გამოამჟღავნა.

სხვათაშორის, პრემიერლიგის კლუბთა ის მწვრთნელები, რომლებიც ბენიტესისა და ფერგიუსონის დარად პრემიერლიგის პროექტის წინააღმდეგ მიდიან, ერთ საინტერესო კითხვასაც სვამენ: ხომ არ დაიკარგება სამართლიანობის პრინციპი, როდესაც ასე, კენტად დამატებულ ტურში ვიღაცას „მანჩესტერი“ შეხვდება, ვიღაცას კი აუტსაიდერი? ამ ტურში აღებული ქულები ცხრილს ხომ ჩვეულებრივად უნდა დაემატოს?

სკუდემორი: „ჩვენ ყველაფერს ავწონ-დავწონით და განვსაზღვრავთ, თუ რა უნდა შევცვალოთ მოფიქრებულ გეგმაში, არავინ რომ არ იზარალოს. თუ დავინახავთ, რომ ცალკეული ასპექტების შეცვლით არაფერი იცვლება, მაშინ მთელი სისტემის გადახედვა და თავიდან მოფიქრება მოგვიწევს“.

ფეხბურთის ასოციაციის შეფი ტრიესმენი:

„მთავარია, ხალხმა იგრძნოს, რომ სამართლიანობის პრინციპები არ ირღვევა. წარმოიდგინეთ, პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის მებრძოლ გუნდთაგან ერთს ძლიერ მეტოქესთან სეზონში მესამედ თამაში რომ მოუწევს, მეორეს კი სუსტი შეხვდება...“

**ბაბუნა ბედია**

# ინტერს დაცვაში გაუჭირდა

**კოლუმბიელ** მცველ ივან კორდობას ტრავმა, როგორც მოსალოდნელი იყო, სერიოზული გამოდგა. შეგახსენებთ, რომ იგი „ლივერპულთან“ შეხვედრაში დაშავდა და ტკივილისგან ისე იკლაკნებოდა, რომ ექიმებმა მინდვრიდან ძლივს გაიყვანეს.

სან მატეოს კლინიკაში ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ კორდობას მარცხენა მუხლზე მყესები აქვს გაწყვეტილი და მოგვიანებით ოპერაციაც გაუკეთეს.

უცნობია, თუ როდის დაბრუნდება კორდობა, მაგრამ საუკეთესო შემთხვევაში სეზონის ბოლო მატჩებს თუ მოუსწრებს.

ასეთივე ტრავმა აქვს არგენტინელ ვალტერ სამუელსაც და „ნერაძურის“ სეზონის ბოლომდე ფრანგი ოლივიე დაკურიც დაშავებული ჰყავს.

რობერტო მანჩინის დაცვაში განსაკუთრებული პრობლემა „ლივერპულთან“ საპასუხო მატჩში ექნება, რადგან, მოგეხსენებათ, მარკო მატერაცი დისკვალიფიცირებული იქნება. „ინტერის“ თავკაცს დაცვის ცენტრში ორი კაცილა დარჩა — კრისტიან კივუ და ნიკოლას ბურდისო.

**ბოკი ბანდელაკი**



ივან კორდობას (მარცხნივ) ტრავმა სერიოზული აღმოჩნდა



# ფრთხილად, ჯერარდს 10 წუთი დარჩა!

